№ 41 — 1877—1897 — № 41

ხუთშაბათი, 6 მარტი 1897 წ.

# ივერია

**გაზეთი ღირს:**

| თე | მან. | კ. | თვ | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ. —ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

კნეინა **ივლიტა აბაშიძისა, მიქელაძის** ასული, თავადი **ალექსანდრე** და **კნიაჟნა აგრაფენა აბაშიძენი** და კნეინა **ანასტასია ქაიხოსროს ასული გელოვანისა** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა გარდაცვალებასა: პირველი—შვილისას, მეორე და მესამე—მამისას და მეოთხე ძმისას—თავად **დავით ქაიხოსროს ძის აბაშიძისას,** სთხოვენ ნათესავთა, ნაცნობთა და პატივის-მცემელთა მობრძანდენ მიცვალებულის განსვენებაზედ დასასწრებლად შვიდს მარტს, დღით, პარასკევს, სოფელს სვირს, თავის საკუთარს სახლში.

(1—6—1)

ქვრივი ეკატერინა თოფურიძისა და ძენი მისნი: გუბერნსკი სეკრეტარი ბართლომე, ექიმი კლემენტო და მოსწავლე ხარკოვის სემინარიისა ევსევი კონსტანტინეს ძე თოფურიძენი გულითადის მწუხარებით აუწყებენ-რა გარდაცვალებასა ძვირფასის: პირველი მეუღლისა და უკანასკნელნი მამის თვისისა მღვდლის **კონსტანტინე ხახუს ძის თოფურიძისა,** უმორჩილესად სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ „8" ამა მარტს დასაფლავებაზედ **ს. აბაშას,** საკუთარს ოჯახშიდ.

(2—6—1)

**სამკერვალო და სკოლა**

ქართველთა ქალთა ამხანაგობისა მიიღებს კაბებს შესაკერად. საქმეს აასრულებს დროზედ, რიგიანად და არა ძვირად. ვერა, გაბაანთ ქუჩა, № 3, კონკის სადგურის პირდაპირ.

(3—2)

## მთავრობის განკარგულებანი.

ებოძათ: კავკასიის ციხის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელს, როტმისტრს თავადს მიქელაძეს—ზოდპოლკოვნიკობა და ამავე თანამდებობაზედ იქმნა დატოვებული.

ნავაგანის მე-78 რაზმის კაპიტანს არდაზიანს—პოდპოლკოვნიკობა.

# ახალი ამბავი

⁂ გუშინ, 5 მარტს, დილის 9 საათზედ, ქაშვეთის ეკლესიის მღვდელმა მამა გრ. გამდლიშვილმა ქართული სავაჭრო ამხანაგობის „შუამავლის" მაღაზია აკურთხა. კურთხევას კარგა ბლომა ხალხი დაესწრო. მაღაზია ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხეში, თავ. კ. ი. მუხრან-ბატონის სახლშია მოთავსებული და მშვენივრად არის გამართული.

⁂ 3 მარტს მიხეილის საავადმყოფოში ნოქარი ჯანტანიძის ცოლი (20 წლისა) და და (15 წლისა) მიუყვანიათ, რომელთაც თავის მოკვლა განუზრახავთ და კარბოლის სიმჟავე დაულევიათ. რამდენისამე ხნის განმავლობაში ორივენი გარდაცვლილან. ჯერ არავინ იცის რამ აიძულა, რომ თავი მოიწამლეს.

⁂ როგორც ოფიციალურის ცნობებიდგანა სჩანს, 22 თებერვლიდგან 3 მარტამდის ტფილისში წითელათი 23 კაცი გამხდარა ავად, შავი სახადით—3 და ქუნთრუშით 2.

⁂ როგორც შევიტყეთ, ბ-ს იოსებ ცხვედაძეს გადაუთარგმნია ორი საყმაწვილო წიგნი: „ხმელეთის რობინზონები", ჟიულვერნისა და „დონ-კიხოტი", სერვანტესისა. ამ წიგნების გამოცემა სურათებით უკისრია ქ-ნს სოფიო ჩხარტიშვილისას.

⁂ პოლიციის მეხუთე განყოფილების ბოქაულს ბ-ნ ზაზულევიჩს ყურადღება მიუქცევია შემდეგის გარემოებისათვის: წვიმის დროს ქვაფენილზედ კაცი ისე ვერ გაივლის, რომ სახლების მილებიდგან შიგ საყელოში წყალი არ ჩაედინოს, და გამოუცხადებია შენობების პატრონთათვის, რომ ქალაქის საბჭოს სავალდებულო დადგენილების 41 მუხლის თანხმად წყლის სადენი მილები ისე გააკეთეთ სახლებზე, რომ მისი ბოლო ქვაფენილს 4 გოჯზედ მეტად არ იყოს აცილებული.

⁂ „ტიფ. ლისტ." აცნობებენ, რომ სოფელს მარტყოფში სახადით ნინო ყობიაშვილის ქალი გარდაიცვალაო. საჭიროა,—ექიმი დროზედ მოგვაშველონ და ღონისძიებანი იხმარონ, რომ სენი მთელს სოფელს არ მოედოს და აქედგან სხვა სოფლებშიაც არ გადავიდესო.

⁂ გაზ. „ტიფ. ლისტოკის" სიტყვით, 2 მარტს კავკასიის რკინის გზის მოსამსახურეთა მომხმარებელი საზოგადოების მაღაზიები შეუმოწმებიათ და აღმოუჩენიათ, რომ $2^1/_2$ წლის განმავლობაში მაღაზიებს 18,000 მან. საქონელი დაჰკლებია და 1,100 მან. ავეჯი. გაზეთს ამასთანავე გაუგონია, რომ საზოგადოებას საქმის მწარმოებლისთვის ჩაის ხარჯად 1,000 მან. ეხარჯებაო.

⁂ როგორც იგივე გაზეთი მოგვითხრობს, გორის მაზრაში გადასახლებული დუხაბორები ერთობ გაჭირვებულს მდგომარეობაში ყოფილან. რადგან მამული არა აქვთ, იძულებულნი არიან, დღიურ მუშაობით ისაზრდოონ თავი, მაგრამ რადგან დღიური ქირა ძლიერ ცოტაა, რაღა თქმა უნდა, ეს კიდევ უფრო უჭირვებს საქმეს. ოც-ოცი კაცი ხშირად თითო ოთახში სცხოვრობს თურმე, რის გამოც ავადმყოფობა ხშირია იმათში; მომეტებულად მუცელათი ჰხდებიან თურმე ავად. თუმცა ამ ბოლოს ხანებში მთავრობას იმათთვის საქონლის გადატან-გადმოტანის ნება მიუცია, მაგრამ ამ უფლებით ეხლა ისინი ნაკლებად სარგებლობენ, რადგან ურმებიც და მუშა საქონელიც დიდი ხანია გაუყიდნიათ.

⁂ ალექსანდრე ეპისკოპოსის 35 წლის იუბილეი შესრულებულა 4 მარტს. ამ დღის შესაფერი დღესასწაული ყოვლად უსამღვდელოესის მწყემსთ-მთავრისა მისს პატივის-მცემელთ გადაუდვიათ, მხცოვან იუბილარის უქეიფობისა გამო, 9 მაისის შიო მღვიმელის ხსენების დღისათვის. („ცნ. ფურ.").

⁂ იმავე გაზეთის სიტყვით, ბ-ნს გრ. ტატიშვილს შეუტყვია, რომ ერევანში ერთს სომეხს ვაჭარს ჩვენის უკვდავის მგოსნის ნიკ. ბარათაშვილის სურათი აქვს, წამლით ნახატი. ეს სომეხი პოეტის კარგი და დაახლოვებული ნაცნობი ყოფილა და მისი სურათიც მაშინ დაუხატვინებია, როცა ნიკ. ბარათაშვილი ერევნის მხარეს ჰმსახურობდა. როგორც ვიცით, აქამდე ქართველ საზოგადოებას ყოველი იმედი ჰქონდა დაკარგული ნ. ბარათაშვილის სურათის შეძენისა. საჭიროა, ერევანში მყოფმა ქართველებმა ამ საინტერესო ამბავს ყურადღება მიაქციონ და იმეცადინონ, რომ ჩვენის სასიქადულო პოეტის სურათი საზოგადოების კუთვნილებად გახადონ.

⁂ ამ დღეებში გაზ. „კავკაზი"-დგან ჩვენ გადმოვბეჭდეთ, რომ მთავრობამ კავკასიის რკინის გზის მმართველობას იმ ადგილების გამოკვლევა მიანდო, სადაც კახეთის რკინის გზა უნდა იქმნეს გაყვანილი, და ამ საქმისთვის 33,000 მანეთის დახარჯვის ნება მისცაო. როგორც გუშინდელი „ნოვ. ობოზ." გვაუწყებს, კავკასიის რკინის გზის მმართველობას ამ საქმის შესახებ ჯერ არავითარი ცნობა არ მიუღია.

⁂ დღეს, 6 მარტს, საღამოს 8 საათზედ, კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების მორიგი კრებაა დანიშნული. კრებამ უნდა განიხილოს მორიგი საქმეები და თავ. ი. ზ. ანდრონიკაშვილის მოხსენება იმის შესახებ, როგორ დაეხმარონ სოფლის ხალხს ვენახების წამლობის საქმეში. კრებას არა წევრთაც შეუძლიანთ დასწრება.

# ფელეტონი

**ნაწყვეტი**

მწყემსო, ჩამოდი მთიდამა,
ქალამზე გელის ბარადა,
ილევა მთვარესავითა,
სიცოცხლე უჩანს არადა,
არც არასა სჭამს, არცა ჰსვამს,
ოხრავს და კვნესის მწარადა,
შენ აგონდები დღე და ღამ,
ცრემლებს აწვიმებს ღვარადა.

დ. მაჩხანელი.

## შრომა მსოფლიო კანონია

(მონტეგაცადგან)

ვუძღვნი ან. შ—ის ასულს.

> უსაქმურობა ადამიანის სულელობის მოგონილია; უქმად მყოფი ბუნებაში არაფერია.
>
> ჰიებო

რაც უფრო ხანში შევდივარ, მით უფრო ვრწმუნდები, რომ თითქმის ყოველგვარი ჩვენის ცხოვრების უბედურება ჩვენისავე უვიცობისა და უღონობის შედეგია. ყოველ ჩვენთაგანს რომ შესძლებოდა კარგად კითხვა იმ მშვენიერ წიგნისა, რომელსაც ბუნება წარმოადგენს, უეჭველია ვისწავლიდით ცხოვრების ნარ-ეკალის ახვევას და ჩვენის არსებობის მძიმე ბილიკს უფრო თამამად გავუდგებოდით. კუს ნაბიჯით დავძვრებით თუ მერანზე ჩქარა მივქრით, გაჩერებული ვართ თუ მივდივართ ბუნების დიადს ქუჩაზედ, მუდამ გზის გადამღობ დაბრკოლების აშორებას ვცდილობთ, მოუთმენლობითა და სულ-წასულობით გვსურს ამ ლობის იქით რაც არის, იმისი გაგება. აი, ამ თავგამოდებულ მისწრაფების და გამოურკვეველ ხეტიალის დროს შეგვემთხვევა ხოლმე ცხოვრების უმძიმესი მწუხარება; ბედნიერებისაკენ ერთად-ერთს მიმავალს გზას ვკარგავთ და ამ ბედნიერებას-კი ბუნების უცვალებელ კანონების აყოლა წარმოადგენს.

ქვეყანა ჩვენამდე და უჩვენოდ არის გაჩენილი. ამ ჩვენს დედამიწაზედ დიდის ხნის მოვლენილნი არა ვართ, მრავალ ნაკლულევანებას და სიდუხჭირეს გადავაწყდით; რა ვქნათ: არც გასწორება, არც გადაკეთება ჩვენ ხელთ არ არის. მაშასადამე, დამთავრებული ფაქტი უნდა გავითვალისწინოთ, მივიხედ-მოვიხედოთ და ვეცადოთ იმ ძალ-ღონის გამოყენებას, რომელიც უხვმა ბუნებამ მოგვანიჭა. ნაკლულევანება და უგვანობა ცოტა არ არის, მაგრამ ადამიანს ვრცელი ასპარეზი აქვს, ნაყოფიერ ველ-მინდვრებისა და ამწვანებულ ბაღების პატრონია; ცაზედ მორთხული ღრუბელი გადაშლით ლაჟვარდ ცის დაუსრულებელს სიღრმეს უჩენს, ეს ჰხიბლავს, უწმინდურებას აშორებს და ოცნებით სიმშვენიერესა და სიცოცხლის უზენაესის საგნის ფიქრს უახლოვებს. როდესაც ადამიანს აქვს მიწა სამუშაოდ და ცა საოცნებოდ, როდესაც აქვს სადღეისოდ პური არსებისა და სახვალიოდ განუსაზღვრელი იმედი, როდესაც თბილად მოწყობილი აქვს საბუდარი თავისის საყვარელ ოჯახობის თავ-შესაფარად,—განა ადამიანს ყოველს სულდგმულზედ უფრო უბედნიერესი არ ეწოდების? განა დედა-მიწის ბატონი არ არის, განა მეცნიერების საშუალებით არ უთვალთვალებს იმ საამიცანო რამეებს, რასაც ფრთა-შესხმული ალმაფრენა შეჰბედავს? მაგრამ ბედნიერებისათვის ადამიანი გონებით გახსნილი და ბუნების მორჩილი მსახური უნდა იყოს. ბუნების გარეშე შველის იმედი ნუ გექნებათ. ყოველგვარი ცოდვა, ყოველი ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვა ბუნების დიად სჯულების დარღვევას მოსდევს. პატიოსნება, შრომის მოყვარეობა, წარმატებისაკენ მისწრაფება ბუნებას შეჰშვენის და შეჰფერის; უპატიოსნო, ზარმაცი და გაუკუღმართებული ბუნების წინააღმდეგია და ბუნება, როგორც სამართლიანი, მაგრამ შეუბრალებელი მოსამართლე, დამნაშავეს სინიდისის ქენჯნითა, ბოლმა-კაეშანითა და თავისის თავის შეძულებითა სჯის. საზოგადოებაში ბევრ ნაირი გავრცელებული სენია, რომლის წამლობა ჯერ არ ვიცით, განიკურნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი ბუნების დიადის წიგნის უკეთესს კითხვას შეეჩვევა და იმ ფართო გზას შეუდგება, საითკენაც ბუნება დიდი ხანია ეპატიჟება.

ბუნების ერთ-ერთ საზოგადო კანონთაგანი არის შრომა და ვინც ამ კანონის დარღვევას მოიწადინებს, გვერდს აუხვევს, ის ბოროტ-მომქმედთა, რომელიც ბუნებამ ანუ ხალხმა, ანუ ორთავემ ერთად უნდა დასაჯოს; დასჯა-კი ხშირად ძალიან სასტიკი გამოდის.

დედაჩემი, რომელიც დიდის თავგამოდებით ჰზრდებოდა და განვითარებას მისდევდა, ბავშობისას ხშირათ ჩამჩიჩინებდა: „შვილო, იმუშავე; შრომა ზნეობის ქვა-კუთხედია და სიცოცხლის საუკეთესო სიამოვნებაო". მაგრამ მაშინ მეტად ცელქი ვიყავი; აზროვნების სინათლეს ჯერ ჩემსკენ არ მოეშუქებინა: მეცადინეობა აუტანელ ტვირთად მეჩვენებოდა, ნამდვილ სასჯელად მიმაჩნდა, რომელსაც დიდები ბალღებს სდებდნენ თითქოს თან-შობილის ცოდვის შესანდობლად.

დრო გადიოდა, ცალკე მასწავლებელი ჩიოდა და ცალკე დედა ნაზად მარიგებდა; ჯიუტობას არ ვიშლიდი, მაგრამ წყვდიადი ჩემს თავში თანდათან ილეოდა, და ერთს მშვენიერს დღეს მთის მწვერვალზედ ამოცურებულმა მზემ პირველად გადმოკტყორცნა ის სხივი, რომელსაც ადამიანის აზროვნება ეწოდება. დიდის მოწიწებითა და მღელვარებით ვიხსენიებ იმ დღეს, რადგანაც მას აქეთ გავხდი ადამიანად, რომელსაც ჩემისავე თა-

*** ამ ჟამად პოლიცია დაეძებს მე-15 გრენადერის ტფილისის პოლკის ჯარის-კაცთ ალექსი ხიზიშვილს, ფადო თოდეშვილს და სიმონ ტაგიშვილს, რომელნიც ყაზარმიდგან გაპარულან, სამივენი გორის მაზრის გლეხები არიან.

*** გაზ. „Мір. Отг.“-ის სიტყვით გზათა უწყების სამინიტროს ყარსის რკინის გზის მკეთებელს ინჟენერის ვურცელისათვის შემოუთვლია, ყოველი ღონისძიება იხმარე, რომ ხსენებული გზა 1898 წლისთვის მზად იყოსო. ერევანში რკინის გზის შტოს გაყვანას 1899 წელს შეუდგებიან.

*** სოფ. მუხურა. (შორაპნის მაზრა) 60 წლის მოხუცი გ. ბუიძე 7 იანვარს გამოსთხოვებია ცოლშვილს, სიძესთან მივდივარ და შეიძლება ორს კვირას დამაგვიანდესო. გასულა სამი კვირა, ერთი თვეც იმისის წასვლის შემდეგ, მაგრამ მოხუცი არსად გამოჩენილა. 26 თებერვალს უნახავთ მეწისქვილეებს სოფლის გარეთ კლდის ძირში თავი და მკლავები კაცისა, ძაღლისაგან დახრული. თურმე საცოდავს მოხუცს ფეხი ასცდენია და გადავარდნილა თვალუწვდენელის კლდიდგან. წარმოიდგინეთ, თითქმის ორი წელიწადი გადის, რაც ხიდები დაიმსხვრა წყალდიდობის დროს, და მას აქეთ ერთი ხიდიც არ აგებულა მთელ მუხურის საზოგადოებაში. უხიდობისა გამო წყალ-დიდობის დროს კაცს რომ უნდოდეს ათი ვერსის გავლა, 15—20 ვერსზედ უნდა მოუაროს ოღროჩოღრო კლდიან და ეკლიან ადგილებს; საცოდავი მოხუცი იქნება ასცდენოდა სიკვდილს, ხიდი რომ ყოფილიყო სადმე. ურიგო არ იქნება, რომ ყურადღება მიექცეს ამ საქმეს.

*** სოფ. საგარეჯო: ამ ბოლოს დროს ჩვენს სოფელში მეტად გახშირდა ქურდობა საქონლისა. ქათმებიც-კი აღარ დააყენეს საქათმეში. 27 იანვარს ამ სოფლის მცხოვრებელს სოლომონ გზირიშვილს მიუხ[…] ა ლ[illegible] ბოროტის-მომქმედნი შუაღამისას და დაიწყეს თავლის გატეხა. ეს იგი იქვე მეზობლად მდგომმა სოლომონის ძმამ დათიკო გზირიშვილმა, დაუწყო თავის ძმას ძახილი, რომ ადექი, საქონელი გაჰყავთო. ვიდრე ის მივიდოდა, თავლის კარები გატეხილი იყო და საქონელი წაესხათ. გამოედევნა დათიკო ქურდებს და სოფლის ბოლოს მოეწია. ქურდებმა რომ დაინახეს პატრონი, ღობის ძირას მიიმალნენ და ცხენი ხელიდგან გაუშვეს. დათიკომ რომ ცხენი დაინახა, მიიხედა იმაკენ, ქურდები დაინახა მიმალულნი, იმათგან ერთი იცნა და დაუძახა: „შენ ხომ გიცნობ, მაისურაძე ხარო“... ამ დროს ორჯელ გავარდა თოფი. ერთი-კი ასცდა დათიკო გზირიშვილს, ხოლო მეორე მკლავში მოხვდა და მკლავი დაუშავა. არავინ იცის, ის ქურდი მაისურაძე იყო, თუ სხვა ვინმე.

*** ტფილისის სასტუმროებისა, რესტორანებისა, ბუფეტებისა, სასტუმრო ოთახების და სხ. პატრონთ მიმდინარე წლის საშუალო აქციზი უკვე გააწერეს. ვილგელმ პულსს სასტუმრო („პეტერბურგი“) შეაწერეს 130 მან., თევდორე ხუნდაძეს („იმპერიალი“)—130 მან., ავგუსტ ფრანსიუროს („ორიანტი“)—1000 მან., იოსებ კავალსკის („რასია“)—450 მან., ეკატერინე რიხტერს („ლონდონი“)—650 მან., იოსებ მაჭავარიანს („ბეთანია“)—130 მან., ილია აბრამიშვილს („იუჟნიე ნომერა“)—130 მან., ვიქტორია ბარბერონს („დვარცოვია ნომერა“)—750 მან., გენადი დანიტს („ათინა“)—140 მან., იაგორ მარტირუზოვს—110 მან., მარქარ კირაკოზოვს—170 მან., სილიბისტრო გველესიანს—110 მან., მიხეილ გორგიჯანოვს—170 მან., ივანე დორაკს (ცირკის ბუფეტი)—180 მან., სოფრომ სხირტლაძეს („ტიფლისკოე სობრანიე“)—415 მან., კუზნეცოვს („კრუჟოკი“)—515 მან., ჩიკვაიძეს (სახელმწიფო თეატრის ბუფეტი)—110 მან., კერვალიძეს—180 მან., მელიქ-ავაქოვს („არტისტიჩესკოე ოფშჩესტვო“)—215 მან., „ინგლისის კლუბს“—140 მან., რკინის გზის მე-2 კლასის მებუფეტეს—125 მან., მესამე კლასისას—200 მან., გიორგი გორგიჯანოვს (რესტორანი „გრუზია“)—170 მან., ივანე ბოგოსლოვსკის—110 მან., ივანე მელიქოვს (საარტისტო საზოგ. ბუფეტი), 110 მანეთი, კონსტანტინე ბაქრაძეს—100 მან., თადეოზ ბაქრაძეს—100 მან., იაგორ მამინაიშვილს („პურ-ღვინო“)—180 მან., ხაჩიკ ხუზრევს—110 მან., იაკობ კორუნს—100 მან., მათე თოდუას—130 მან., ოჰანეს ტერ-სიმონიანცს—120 მან., გიორგი სხირტლაძეს („თეატრისა)—350 მან., კარაპეტ კიშიშევს („ტილიპუჭურა“)—200 მან., დავით ზამეტს—120 მან. ოჰანეზ ალაბ-ხალ-ოღლის—100 მან., გიორგი მაილარაშვილს—110 მან., არტემ ულიხანოვს—180 მან., ავგუსტ მადერს—240 მან., ზაქარია გუნდიაშვილს—150 მ., ლუიზა მადერს—120 მ., გოტლიბ კურცს („ნემეცკი სად“)—180 მან., კონსტანტინე ბაქრაძეს—80 მ.: პრესმონს—145 მ., ვასილ მიხაილოვს—310 მ. თემურაზ კუტივაძეს—130 მ.. გიორგი ზვონარიოვს—150 მ., ოკტავი ბარბერონს—195 მ., რაბინოვიჩსა და ვოლფზონს („სევერნიე ნომერა“—650 მ., ლაზარე გულიევს—170 მან., მარია კორდეს—90 მ., დიმიტრი სესიევს—75 მან., ლაზარე კისეველს—15 მ., არტემ ყარანოვს—76 მ., სესიევს—35 მ., მარტირუზ მიქელიანცს—15 მ., ოსიპ კემპას—20 მ., და იოსებ მონშოვიჩს—75 მ.

# რუსეთი

—

დედათა სამკურნალო ინსტიტუტის შენობა ამ წლის აგვისტოს თვეში დამთავრდება და სექტემბრის დასაწყისს აკურთხებენ კიდეც. ამ დღეებში გამოცხადდება წესი თხოვნათა მირთმევისა იმათთვის, ვისაც ამ ინსტიტუტში ჰსურს შესვლა.

—

უწმიდესმა სინოდმა განმარტა თუ რა წოდებისად უნდა ჩაითვალნენ მღვდელ მსახურთა შვილნი. სინოდი ამბობს, რომ სახელმწიფო საბჭოს უმაღლესად 1871 წლის 15 მარტს დამტკიცებულის აზრით და აგრეთვე კანონთა კრებულის მე-IX ტ. მე-501 მუხ. ძალით რუსეთის მართლ-მადიდებელ ეკკლესიის მღვდელ-მსახურთა შვილნი დაბადებითვე შთამომავლობით საპატიო მოქალაქეებად უნდა ირიცხებოდნენო. ასეთივე უფლება არა აქვთ იმ მართლ-მადიდებელ მღვდლების შვილთ, რომელნიც უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომნი არიანო.

—

რუსეთის სამხრეთ - დასავლეთ მხრისაკენ მიწა-მამულს იჯარით სულ ახალის წესით იღებენ თურმე. ეს ახალი წესი ის არის, რომ რამდენიმე კაცი იკრიბება ერთად, ამხანაგდება, ფულს ჩამოდიან, იჯარით იღებენ მამულს, აბარებენ მამულის მოვლის მცოდნე კაცს, რომელსაც ჯილდოდ წმინდა შემოსავლის 10—15% აძლევენ, და თითონ-კი ზარალსა და მოგებას თანაბრად ინაწილებენ.

—

ეკატერინოსლავის გუბერნიის სოფლობის შუამავლობას დაუწყვია თხოვნა ფინანსთა სამინისტროს წინაშე, რომ უფლება მიეცით სოფლის მასწავლებლებს საგლეხო ბანკის შემწეობით იყიდონ მამულები, რომ ამის საშუალებით მასწავლებლებმა იქნება გული ჩამოჰყარონ სოფლად და ისე ადვილად არ დაანებონ ხოლმე სოფლის სასწავლებლებს თავი, როგორც ეხლა ანებებენო.

—

მთავრობას გარდაუწყვეტია, რომ დასავლეთ და სამხრეთ რუსეთში და აგრეთვე მდინარე ვოლგის ნაპირებზედ დასახლებულ გერმანელთა სასწავლებლებში, გარდა სამღვთო წერილისა და გერმანულის ენისა, ყველა საგნების სწავლება რუსულს ენაზედ უნდა იყოსო.

# უცხოეთი

—

**იტალია.** ამ მოკლე ხანში იტალიის ერმა პარლამენტის ახალი დეპუტატები უნდა აირჩიოს. პარლამენტის ეხლანდელი წევრები კრისპის მთავარ მინისტრობის დროს არიან არჩეულნი და მომეტებული იმათგანი მხარსაც უჭერდა კრისპის. მაგრამ წარსულს წელში, როცა იტალიის მხედრობა სასტიკად დაამარცხა ადუაში აბაშეთის მეფე მენელიკმა, კრისპიზედ პარლამენტმა გული ერთბაშად აიყარა და, ესეც რომ არ მომხდარიყო, კრისპი მაინც იძულებულ იყო სამსახურისთვის თავი დაენებებინა. იტალიის მეფემ ჰუმბერტომ კრისპის ადგილას დი-რუდინი მიიწვია, რომელმაც დიდი ნიჭი და მეცადინეობა გამოიჩინა, რომ გარეული აწეწილ-დაწეწილი საქმეები ისე თუ ისე მოეგვარებინა და იტალია განსაცდელისაგან დაეხსნა. დი-რუდინიმ უპირველესს ყოვლისა მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ გამართა მოლაპარაკება მენელიკთან და ისე მოახერხა საქმე, რომ იმათ შორის დადებული ზავი იტალიის თავ-მოყვარეობას ნაკლებად ამცირებდა. შემდეგ ამისა დი-რუდინიმ სხვა საქმეების მოწყობას მიჰყო ხელი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ბევრი ვერა მოასწრო-რა. ახალი არჩევნები გვიჩვენებს, იტალია რამდენად მადლიერია დი-რუდინის მართვა გამგეობისა.

ამომრჩევლების საყურადღებოდ მის მიერ გამოქვეყნებული პროგრამმა ბევრს არას შეიცავს. საყურადღებო იმ პროგრამაში ერთი ის არის, რომ დი-რუდინი იტალიის ერს ურჩევს,—აფრიკაში ჯარების გზავნამ და ომმა იმ იმედით, რომ იქ დიდს ადგილებს დავიჭერთ და ამით იტალიის ერს ცხოვრების სახსარს აღმოვუჩენთო, სულ ტყუილად ჩაიარაო. აუარებელის ხარჯისა და სისხლის ღვრის გარდა სხვა სარგებლობა ჩვენ იქ ვერა ვნახეთ-რა და ამი[…]

---

[…]ვის წყალობით არასოდეს ერთის საათის ტანჯვაც არ მიგემია; ჩემ თავს ხშირად თამამად ვეუბნებოდი: „მე ბედნიერი ვარ“-მეთქი.

—

მოვიწიფე, ახალგაზდობა ჩემს გულში სიმხურვალისა, სიხარულისა და სიცოცხლის გრძნობით ლიტანიობდა. აპრილის დილა იყო, როდესაც წარსულ ღამის აღმაშფოთარ სიზმრების გამო ჩვეულების წინააღმდეგ ალიონზე გამომეღვიძა; ჩემს სახესა და გულს ჯერაც არ აღმოფხვრია გამონაცად მღელვარების კვალი—გადაღებული ჭექა-ქუხილი მოთიბულ ბალახს, ჩამომტვრეულ ტოტებს და თავ-დახრილ ყვავილებს ასე დააჩნევს ხოლმე თავისს ნაკვალევს.

ბაღში გამოვედი და ხარბად ვისუნთქავდი ყვავილებისა, ბალახისა და ხეების ნარევ კეთილ-სუნნელებას. გავეშურე აქა იქ ირგვლივ დათესილ ყვავილებ შუა და ხან ფეხს ვუჩქარებდი, ხან ლამაზ ყვავილის წინ ვჩერდებოდი, ხან ლამაზს ტოტს ვასწორებდი. რამდენი სულდგმული არსება შემოჰხვეოდა ამ ყვავილებსა და ბუჩქებს! რამდენმა არსებამ გაღვიძება დამასწრო! ყველანი კიდეც მუშაობდნენ!

დაუღალავი და სწრაფი ფუტკარი ერთის ყვავილიდგან მეორისაკენ მიეშურებოდა, ართმევდა ნაყოფიერ მტვერს და სუნნელოვან წვენსა სწუწნიდა; შავი ფუტკრები ყვავილების თავებს, მათ ბუტკოს და მტვრიანას დაჰფუსფუსებდნენ: კრაზანები თავისის მაგარ ხორთუმით ოსტატურის სახლის აშენებისათვის ჰდურგლობდნენ. მწერთა მთელი სამეფო მხიარულად ცმუცნიდა ყვავილების ბიბილოებს და ყოველი მათგანი თავისს საყვარელს მცენარეს ებლაუჭებოდა.

ერთმა ვარდის ბუჩქმა დიდისხნით მიმიზიდა; მწვანე აბრეშუმის ჭიები გაუმაძღრად ფოთლების ნაპირებს სწუწნიდნენ, კვირტებს ულესავდნენ, და შიგ ჩაღრმავებასა სცდილობდნენ; ჭიანჭველა-კი ფაცა-ფუცით გამორბოდა და სამუშაოდ ეშურებოდა. აყვავებულ ნარცისსების ბუჩქს ფერად-ფერადი პეპლები მარდად თავს დასტრიალებდნენ და თაფლს სწუწნიდნენ, რა ხმაურობა, რა მოძრაობა, რა შრომაა ამ ყამირ-ფრთოსან, მფრინავ, ხტუნავ მწერთა სამთავროში!

იქვე ხეების ჩრდილში გამართულს საჯდომზედ ჩამოვჯექი, მუხლებს დავეყრდნე და ფიქრით მთლად გატაცებული მიწას დაჟინებით დავცქეროდი. ეს ამდენი ათასი სხვა-და-სხვა მწერი ძმურად ჰმუშაობდა; ყველა სცდილობდა თავისთვის და თავისს ოჯახისათვის საზრდოს მოპოვებას: ზოგი თაფლს, ზოგი შენობის მასალას აგროვებდა, ერთის სიტყვით, ყველა გაცხარებული ჰმუშაობდა. ამ წუთს უფრო მძლავრად გამიხმაურა ყურებში დედის ნათქვამმა სიტყვებმა: „შვილო იშრომე!“ ჯერ კიდევ მიწას თვალს ვერ ვაშორებდი, როდესაც ცოტა ხნის შემდეგ შორიახლოს დავინახე ორ მწკრივად ჭიანჭველები, რომელნიც გაბმით წინ და უკან მიფუსფუსებდნენ. ერთს გროვას პირით მოჰქონდა ფოთოლი, ჩალა-ბულა, თესლი, მარცვლები, მცენარის ნაწილები და ნელა მიმოძრაობდა. მეორე—უტვირთოდ უფრო მსწრაფლად მიეშურებოდა საზრდოს მოსაპოვებლად, ჭიანჭველებიც მუშაობდნენ. ამათ თვალი გავაყოლე და ვაზის სარის მახლობლად მებაღისაგან ახლად მოკლული გალეშილი თხუნელა დავინახე; იგი გალურჯებული გულ - აღმა ეგდო და იხრწნებოდა. გაოცებით შევნიშნე, რომ თხუნელა ტრიალებდა და ხან ზევით, ხან ქვევით იწევდა. მაგრამ მოძრავი ძალა-კი არა სჩანდა. მივეპარე; მალე ლეშის ქვეშ გამოჩნდა ჯერ პატარა თავი გრძელ ულვაშებიანი, მერმე მშვენიერი ყვითელ და შავ წინწკლებიანი ტანი,—ეს იყო საფლავის ხარაბუა; ამას მოჰყვა მეორე, მესამე, მეოთხე. ლეშის ქვეშ მთელი გროვა ჰმუშაობდა თხუნელას დასამარხად, რომ მერე იმისს ლეშში კვერცხები დაედოთ. აქაც მუშაობდნენ.

ძველის ჭიშკრით ბაღიდგან მინდორში გავედი; აქ ისმოდა ხმა მაღალი ჭიკჭიკი მერცხლებისა, რომელნიც ბუდეებს იკეთებდნენ. აქაც მუშაობა იყო გაჩაღებული... და ხელახლათ ჩემ ყურებში გაისმა დედის სიტყვები: „შვილო, იშრომე!“

ასე დავდიოდი ხან გზით, ხან ბილიკით და ბოლოს დაქანცული მივეგდე მაღლობზედ, რომელიც ზღვის ბალახით და მოხავერდო ხავსით მოგებული იყო. აქ ისე წამოვწექი, თითქო დედა-მიწის ხელის მოხვევა მსურდა და ასეთის შრომა-მოღვაწეობითა და სიცოცხლით აღსავსე ბუნებასთან დაახლოვება რაც შეიძლება მეტად მწადდა. როდესაც გული ვიჯერე ამ საკვირველ ზღვის ბალახის ხილვით და პატარ-პატარა ბუჩქების ზურმუხტის ფრად მოციმციმე ნაირ-ნაირის ელვარებით, წამოვწიე ერთს ქვას და მის ქვეშ დავინახე პაწაწინა არსების მთელი სამეფო; ლურჯი გროვა მათი რაღაც ეშმაკურ გასავალ თაღებს სთხრიდა. აქაც კიდევ მუშაობა იყო გაჩაღებული. ამ წვრილმან მწერებსაც-კი მუშაობით გამოჰქონდათ თავისი თავი. მინდვრიდგან მომდიოდა სიმღერის ხმა, რომელსაც თანაბარი თოხის ცემა მოსდევდა—მალე ზვრებ-შუა გლეხის ოჯახობის მუშაობას თვალი მოვკარი.

ეს სხვა-და-სხვა ხმაურობა, აგრეთვე ყველაფერი ნახულ განაგონი ამ დილით სეირნობის დროს ერთ მწყობრ კონცერტად წარმომიდგა: ასე მეგონა, რომ ყველაფერს ჩემს გარშემო ფრთა ესხმება და ოცნებამ სხვა, უცნობს, ქვეყანაში გადამტყორცნა. მთელი ქვეყანა უზარმაზარ სახელოსნოდ წარმომიდგა, სადაც არც ერთი ნაწილაკი უმოძრაოდ არა რჩება, სადაც ჰაერი და მზე, მცენარე და მწერი, ფრინველი, ადამიანი—მხოლოდ მუშაა, რომელიც საამიცანო, უხილავ ბატონის უხმო ბრძანებას ემორჩილება. იქნება მზეა ის უხილავი ძალა, რომლის ბრძანებითაც ქვეყნიური ცხოველი ჰმოძ[…]

ტომ უმჯობესი იქმნება, ამგვარს ავანტიურულს პოლიტიკას თავი დავანებოთო. რაღა შორს მივდივართო, ნათქვამია პროგრამაში, აქვე ევროპაში ისეთი ამბები ხდება, რომელიც ჩვენ ვალად გვდებს, მუდამ მზად ვიყვნეთ, რომ აღმოსავლეთის საქმე ჩვენს დაუკითხავად სხვებმა არ გადასწყვიტონ და ჩვენ ხელცარიელები არ დავრჩეთო. პროგრამაში ნათქვამია ისიც, რომ მრეწველობას ხელი უნდა შევუწყოთ და არჩევანების საქმეში ცვლილებანი უნდა შემოვიღოთო, და, დასასრულ, მთავრობა ვალდებულია, მუშებს მფარველობა გაუწიოს მოხუცებულობისა, ავადმყოფობისა და უბედურ შემთხვევის დროსაო.

## შავი ჭირი

26 თებერვალს პეტერბურგის სამკურნალო საზოგადოებაში მოხსენება წაუკითხავს აკადემიის პრივატ-დოცენტს ა. მ. ლევინს შავის ჭირის შესახებ. ეს სენიო, უთქვამს ბ-ნს ლევინს, ძალიან უცბად და მოულოდნელად ემართება ადამიანს. თუ კარგად იარა სენმა, 4—5 დღეზედ ავადმყოფს უკეთესობა შეეტყობა, ხოლო შვიდს დღეზედ განიკურნება კიდეც. ხოლო იშვიათია, რომ რჩებოდეს ვინმე, ასში ათი ძლივსა რჩება, დანარჩენი 90 მესამე-მეოთხე დღეზედ იხოცება. ამ სენს სხვა-და-სხვა ძალა აქვს. ზოგს ისე სუბუქად მოსჭიდებს ხოლმე ხელს, რომ ლოგინადაც არ ჩააგდებს, ზოგს-კი უცბად რამდენისამე საათის განმავლობაში ჰკლავს. თუ ეს სენი სუბუქად მოედო ადამიანს, იგი ძნელი გამოსაცნობია, ისე ძალიან ემსგავსება შავს სახადს. დიდი სიცხე-პაპანაქება თითქმის ყოველთვის აქრობს ამ სენს. შავის-ჭირის გავრცელებას ძალიან უწყობს ხელს პაწია ადგილას მცხოვრებთა სიმრავლით თავმოყრა და უსუფთაობა. რადგან უფრო ნიადაგში იკიდებს ფესვს ეს სენი, ვისაც მისგან თავის გადარჩენა უნდა, მკვიდრი ფეხთსაცმელი უნდა ატაროს. ძალიან შეუშლის ხელს სენის გავრცელებას, შავის ჭირით დახოცილთა გვამები რომ დასწვან ხოლმე. რაც შეეხება შავის ჭირის წინააღმდეგ გამოგონილს შედედებულს სისხლს, ეს საშუალება პროფესორს იერსენს ჰონგ-კონგოში 24-ჯერ უცდია და 21 შემთხვევაში სნეული განკურნებულაო.

—

ბომბეაში გარდაცვალებულთა რიცხვი თანდათან კლებულობს. 13-დგან 20 თებერვლამდე შავის ჭირით დღე-ღამეში 100 კვდება, წინად-კი 130, 140 და მეტიცა ჰკვდებოდა. განსაკუთრებით საყურადღებო ის არის, რომ თვით ეს სენი ისე უეცრად აღარ ეძგერება ხოლმე ადამიანს და ბოლოს არ უღებს, არამედ ნელ-ნელა სჭიდებს კლანჭებს, რაც ექიმებს საშუალებას აძლევს თურმე შველა და დახმარება აღმოუჩინონ ავადმყოფებს.

## სასამართლოს მატიანე

ნაფიც ვექილის ს. დ. სტაროსელსკის მოკვლის საქმე ბაქოში.

(შემდეგი *)

თავმჯდომარემ ნება მისცა ბრალდებულთ სასამართლოსათვის განმარტება მიეცათ მოწმეთა ჩვენების გამო.

ფათახი. ბოქაულმა მიანსაროვმა სთქვა, ვითომ მე უსაქმოდ ვყოფილიყავ. ეს ტყუილია! მე კარგი ხელოსანი ვარ და სახელოსნოც მქონდა.

მეშადი-მამედ. ბოქაულმა მიანსაროვმა სთქვა, რომ მე ქურდი ვარ და ერთხელ გამოვტყდი კიდეც ქურდობაში. მაშ რატომ ოქმი არ შეადგინა. მაშასადამე თვით ბოქაული ქურდის მომხრე და მფარველი ყოფილა.

ბაკიხანოვი. მიანსაროვი ამბობს, რომ ვითომ არაფერი საქმე არა მქონდეს. მე დიდი ვაჭრობა მქონდა ხორბლით და ჩემი საკუთარი მამულიცა მაქვს. მანაფთან არავითარი მეგობრობა არა მქონია და არც ვიცნობ იმას!

ფათახი. განა პოლიციის ბოქაულს უფლება აქვს უპროკუროროდ მისვლა პატიმართან? მიანსაროვი მოვიდა ჩემთან და დამემუქრა, თუ არა სთქვი რომ ბაკიხანოვი მკვლელია, ჩამოგახრჩობენო.

მოწმე ზაიცევი. (მეეტლე) მე დაბეჯითებით ვამტკიცებ, რომ სტაროსელსკის რევოლვერი ამ კაცმა ესროლა (ფათახმა) და ეს-კი (მეშადი მამედ) ცხენებთან იდგა.

ფათახი. მერე რატომ გამომძიებელს მაშინვე ჩემზედ არ მიუთითე?

ზაიცევი. მეშინოდა და იმიტომ.

მეშადი. ამ მოწმემ ჩემზედ გამომძიებელთანა სთქვა, ეს კაცი მკვლელსა ჰგავსო და ეხლა-კი პირ-და-პირ ჩემზედ ამბობს. როცა წინად-კი არ ამბობდა ამას?

ზაიცევი. მეშინოდა.

მოწმე მიხეილ ვინიკოვი (პოლიციელად ნამყოფი). მე კლუბის კარებთან ვიდექი და ერთი კაცი შევამჩნიე, რომელიც იქ დადიოდა. აი ეს იყო (მეშადი). ნამდვილად-კი ვერ ვიტყვი, მაგრამ ძლიერა ჰგავს.

ბრალმდებელი. მერე არა ჰკითხეთ ამ კაცს, რად დადიოდა კლუბის კარებთან?

მოწმე. არა, არ მიკითხავს.

ბრალდებული მეშადი მამედ. მე რომ დამაპატიმრეს, ეს მოწმე ციხეში მოიყვანეს და ვერ მიცნო, ეხლა-კი ამბობს ჩემზედ, ეს არის მკვლელიო.

აღმოჩნდა, რომ მართლა ვინიკოვმა ციხეში სულ სხვა კაცზედა სთქვა, ეს არის მეშადიო.

თავმჯდომარე. ციხეში სულ სხვა კაცი დაასახელეთ და ეხლა-კი მეშადიზე ამბობთ. სწორედა სთქვით, ეს კაცი (მეშადი) ნახეთ კლუბთან, თუ არა?

მოწმე. არ ვიცი. ნამდვილად ვერაფერს ვიტყვი. (ბრალდებული მეშადი თავმჯდომარეს სთხოვს ნება მომეცით ადგილი გამოვიცვალოო. ყველაზედ წინ მე ვზივარ და მოწმეები, ვიდრე შემომხედავენ, ჩემზედ ათითებენო. თავმჯდომარე დასთანხმდა).

მოწმე მამედ ბეგ სულთანოვი (ქალაქის გამგეობაში მსახურობს). მე ვერაფერს ვერ მოვახსენებ სასამართლოს, ციხეშიაც რომ ჩამსვათ ამისთვის ცოლ-შვილის პატრონი ვარ. აქაურ ხალხს კარგად ვიცნობ. მართალი რომ ვსთქვა, უეჭველად მომკლავენ.

მოწმე ჰუსეინ ყული (მედუქნე) სტაროსელსკის მოკვლის დროს მეძინა. გარედ რომ გამოვედი, ხალხი იყო თავ-მოყრილი და მითხრეს, კაცი მოჰკლესო მეტი არაფერი ვიცი.

თავმჯდომარე. სტაროსელსკის მოკვლამდე ორი საეჭვო კაცი ხომ ნახეთ დუქნის წინ?

— არა.

— მეშადიმ იყიდა პაპიროსი თქვენს დუქანში, თუ ფათახმა?

— არც ერთს არ უყიდნია.

— გამომძიებელს რომ უთხარით, იყიდესო?

— მართალია, მაგრამ ეს ძალით მათქმევინეს. სამ დღეს პოლიციაში ვიყავი დაჭერილი.

ბრალმდებელი. ვინ დაგიჭირათ?

— ბოქაულმა მიანსაროვმა

— ნაზირბეგოვიც ძალას გატანდათ?

— არა, ნასირბეგოვი მიანსაროვს ეუბნებოდა, განვათავისუფლოთო, მაგრამ მიანსაროვი არა სთანხმდებოდა და ძალას მატანდა, ასე სთქვი, რომ მეშადიმ და ფათახმა მოჰკლესო.

თავმჯდომარე. (მიანსაროვს)—თქვენ დაარიგეთ ეს მოწმე, ასეთი ჩვენება მიეცი გამომძიებელსაო?

— არა. მოწმე სტყუის, ეს ისეთი ხალხია. აი ეხლაც, ფიცის ქვეშ სტყუის.

ვექილი მირონოვი. (მიანსაროვს). ამ მოწმეზედ ეჭვი რამ გქონდათ?

— არა.

— მაშ რად აწვალებდით ხუთ დღეს, თითქოს ბრალდებული ყოფილიყოს. განა ამ გვარად შეიძლება ცნობების შეკრება?

ვექილი კარაბჩევსკი. (მოწმეს) პოლიცია თქვენს ძმას ხომ არ დაეძებდა და ხომ არ დაგემუქრნენ, როგორც დაგარიგებთ ისე სთქვი, თორემ ძმას დავიჭერთო?

— მე ჩემის თავისაც მეშინოდა. მიანსაროვი დამემუქრა, ციხეში ჩაგსვამო.

ვექილი კორაბჩევსკი. (ბოქაულს ნასირბეგოვს ჰკითხავს) ჰყოფილხართ როდისმე გამომძიებელთან რომელსამე საქმეზედ?

— არა.

ვექ. კარაბ. (მოწმეს) გამომძიებელი რომ ჩვენებას გართმევდათ, ვინ იყო იქა?

— ბოქაულები: ნასირბეგოვი და მიანსაროვი. ისინი რომ არა ყოფილიყვნენ, გამომძიებელთან ტყუილს არ ვიტყოდი.

ბრალმდებელი. გამომძიებლის ოქმში არა სწერია, რომ იქ ბოქაულები ყოფილიყვნენ.

ვექ. კარაბ. კანონის ძალით გამოძიების დროს ბოქაული არ უნდა იყოს გამომძიებელთან და იმიტომ არა სწერია.

მოწმე სამედ ჯაბრაილი. მე არაფერი მახსოვს.

ბრალმდ. რასა გკითხავდათ თქვენ გამომძიებელი?

— არ ვიცი, არ მახსოვს, დღეს რასაცა ვჭამ, ხვალვე დამავიწყდება.

(სასამართლოში შემოჰყავთ მოწმე სეიდ ჰუსეინი, ბორკილით, სხვა საქმის გამო გადაწყვეტილი აქვს 8 წლით კატორგაში გაგზავნა).

იარმუკაზედ ვიყავიო, სთქვა სეიდ ჰუსეინმა. იქ შემხვდნენ ამანი და ბაკიხანოვი და მითხრეს, ერთს კაცს გიჩვენებთ, მოჰკალი და 400 მანეთს მოგცემთო, კაცი მიჩვენეს და რევოლვერიც მომცეს.

ვექილი მირონოვი. სად არის ეხლა ის ამანი?

— მოჰკლეს, იმის შემდეგ, გამომძიებელს რომ ეს ამბავი ვუთხარი. ფულს ბაკიხანოვი დამპირდა. მე მხოლოდ იმიტომ დავთანხმდი მოკვლაზედ, რომ ფული მინდოდა დამეტყუვნა, მაგრამ ასე მითხრეს, ჯერ მოჰკალი და ფულს მერე მოგცემთო. მაშინ უარი ვთქვი და რევოლვერიც დავაბრუნე. მე არ ვიცოდი, რომ ის კაცი, რომელიც მიჩვენეს სტაროსელსკი იყო.

*) იხ. „ივერია“ № 40,

რაობს და ჰმუშაობს, —განა თითონ მზე ცის სივრცეში განუწყვეტელ მოძრაობით განუწყვეტელ მუშაობის მაგალითს არ იძლევა? სინათლე, იმისაგან წარმოდენილი, განა არა ჰმუშაობს? იგი არ არის, რომ ფოთლებს ამწვანებს და მწერებს აფეროვნებს? ეს სასიამოვნო სითბო, რომელიც კანიდგან ჩემს სხეულში შედის, მეალერსება და მათბობს—განა მოძრაობის შედეგი, განა მუშაობის თავისებური დარგი არ არის? მცენარეები, რომლითაც მთელის დედამიწის ზურგი მოფენილია, უთვალავი ჰელიოტროპები, ხავსი და მრავალი სხვა—განა ესენი არ ითვისებენ ჰაერიდგან ცხოველთათვის მავნე ნახშირ-მჟავს? ყოველი კლდეს მოცილებული ნაწილაკი სიმძიმით მოცული აჩენს მიწის მომავალ ზედა პირს; ჰაერი ქვაში განუწყვეტლივ შედის და არღვევს. ქვა, პური, სინათლე, სითბო—ყველა მუშაობს. განა მცენარეებსაც არ დაერქმის დიდი ქიმიური და ფიზიკური ლაბორატორია? მათი ფესვები დედამიწის სიღრმის წვენს ასუფთავებენ და ღამის ნამის წვეთებს წყნარად ისრუტვენ; ფოთლები ჰაერს ებრძვიან და აცლიან უწმინდურობას, რომელიც ცხოველების ამოსუნთქვით ჩნდება. ამ ნაირად ყოველი მწვანეული ნაწილაკი—გამწმენდი და გამასუფთავებელი მანქანაა. ყოველ ყვავილში, ყოველ ხის ღერში—ათასი, ათი ათასი საწური და მილი ნაირ-ნაირ შენაზავს და ზეთს განუწყვეტლივ სწმენდს. ტოტის ღრმა ძარღვებსა და ქსოვილებში სიცოცხლე წყნარად მიმომდინარებს; ყველა-კი საერთოდ — სახელოსნოა, მანქანაა დაუსრულებელის მოძრაობით აღსავსე. უსიტყვო და უძრავი მცენარეებიც მუშაობენ, მუშაობენ განუწყვეტლივ და შეუსვენებლად.

ამწვანებულ მცენარეთა საფარველის ქვეშ ამასობაში კიდევ სხვა სახელოსნოა, სადაც თავგამოდებულის მუშაობით იბრძვის მეორე უფრო ხმაურობით მოცული და უფრო ნაყოფიერი ვეებერთელა და პაწაწკინტელა არსებათა რაზმი, რომელნიც დაცოცავენ, დახტიან, იკლაკნებიან და ჰფრინავენ; ყველა დაუღალავად ჰმუშაობს არსებობისათვის საბრძოლველად. ერთი მიწასა სთხრის, მეორე მიწას აყრის; ზოგს ძნა მოაქვს, ზოგი ყანას მკის, ვინ ხუროთ-მოძღვარია; ვინ დურგალი და ვინ სამარის მთხრელი; განუზომელი და დაუსრულებელი მუშაობა-კია ცხოველთა სამეფოში.

ამ ბუნების დაკვირვებასთან კიდევ სხვა კანონიც აღმომიჩნდა: რაც უფრო რომელიმე რთული არსება მაღლა სდგას სხვა მარტივ არსებასთან შედარებით, მით უფრო სისრულითაა აღჭურვილი მისი აგებულება; ამასთანავე მეტი შრომა შევამჩნიე და მეტი ნაირ-ნაირობა მოძრაობაშიაც. ქვა ჟანგდებოდა, მცენარე იკვებებოდა, მოძრაობდა, სითბოს იძლეოდა და ასე ზედ-მიყოლებით ადამიანამდე, რომელიც იკვებებოდა მოძრაობდა, სჯიდა, ჰხედავდა, ისმენდა და გარს-შემორტყმულ ბუნებას იგებდა; ბუნების ძალა ადამიანმა შეიგნო, ამ მსოფლიო სახელოსნოს მიჰყო ხელი და სხვა დანარჩენ ცოცხალ ქმნილებათა შრომაც დასჩრდილა.

თითქო დაუსრულებელი მოძრაობის გრიგალში ვიმყოფებოდი და ვგრძნობდი იმის წარმატების ძალას. შრომა წარმომიდგა იმავე სიცოცხლედ, სიცოცხლე-კი მით უფრო სასიამოვნოდ და სრულ-ყოფილად მეჩვენებოდა, რაც უფრო მეტს შრომას თხოულობდა. წინანდელზედ უფრო მძლავრად გაისმა ჩემს ყურებში დედის სიტყვები: „შვილო იშრომეო!“ ასე მეგონა, რომ მზის სხივები, ჰაერი, სინათლე, ქვა, ბალახი და ცხოველთა უთვალავი გროვა მეხვეწებოდნენ: „ადამიანო, იშრომეო!“

მას დღეს აქეთ შრომა სასჯელად კი აღარ მიმაჩნდა, არამედ სიცოცხლის კურთხევად, და ეხლაც, ჩემ მოხუცებულობისას, დღე-ნიადაგ და ყოველ საათს მადლობას ვწირავ დედა-ჩემს, რომ მიმაჩვია — სიცოცხლის უძვირფასესს სიკეთეს—შრომას. ყოველთვის მოწიწებით ვიხსენიებ იმ აპრილის დილას, როდესაც ბუნებამ, თითქოს დედა ჩემის სიტყვებს ბანი მისცაო, ჩამაგონა, რომ შრომა ცხოვრების კანონია.

მეცნიერება ნიადაგ გვიცხადებს, რომ მთელი ნივთიერება დაუსრულებელ მოძრაობაშია და სიცოცხლის მოვლენათა უძლიერესი მოქმედება იგივე მოძრაობაა. სითბოც მოძრაობაა, სინათლეც მოძრაობაა, ელექტრონი და ანდამატობა მოძრაობის სხვა-და სხვა სახეა; ნივთიერება-კი, მოძრაობას მოკლებული, ჯერ არ ნახულა. შრომა სიცოცხლეა, სიცოცხლე-კი შრომაა. ერთი აზრია, მეორე—მისი გამომხატველი.

ადამიანი თავს ვერ გამოიკვებავს, ტან-ფეხს ვერ შეიმოსავს და ვერც შეაკეთებს თავისის სახლის სახურავს, თუ არ იშრომა, თუ არ დაიღალა; სიკეთისა, სიმშვენიერისა და დიადის მიმართ მისწრაფება მიაჩნია იმას თავისის შრომის ღირსეულ ჯილდოდ. განათლების წარმატება თავისის რთულ მოწყობილობით მხოლოდ ფრიად დიდი შრომაა, რომელშიაც მთელის დედამიწის ყოველი ადამიანი შეძლებისა-და გვარად მონაწილეობას იღებს; ვინც სხვაზე მეტად და უმჯობესად იშრომებს, წარმატების საუკეთესო ნაყოფსაც ის მოიხვეჭს. ხალხი ასეთს ადამიანს პატივისცემით ეპყრობა და მათ მოხვეჭილ სახელით შრომას აღმერთებს. როგორც ბუნებაში სხვა-და სხვა ცქიტებით მიზიდული ნაწილაკი ჰმოძრაობს, აგრეთვე ადამიანიც—ეს საზოგადოების ნაწილაკი მოძრაობაში მონაწილეობას იღებს და რაც მეტად ჰმოქმედობს, მით უფრო ძლევა-მოსილობა ემატება. ვინც შრომას ჰთაკილობს, გაურბის და ჰკრულავს მუშაობას, იგი ყოველ გვარ სიკეთის წყაროდ მისამჩნევს სიცოცხლეზე ხელ-აღებულია.

სანდრო ბრილელი.

— მაშ როგორ უთხარით ბოქაულს, რომ სტაროსელსკის მოკვლა მთხოვესო, თუ-კი არ იცოდით.

— თითონ ბოქაულმა მითხრა.

— მერე ბოქაულმა რა იცოდა, რომ ბაკიხანოვმა ფული შეგაძლია კაცის მოსაკვლელად.

— ბოქაულს ნაზირბეგოვს დიდი ხანია ვიცნობ. ციხეში რომ ვიჯექი, ნაზირბეგოვი და მიანსაროვი მოვიდნენ და მითხრეს, „დაგვეხმარე, მკვლელები ვიპოვნოთო“. მეც, რაც ვიცოდი, ის ვუთხარი. სწორედ ეგ არის საჭიროო, მითხრეს.

ვექილი კარაბჩევსკი. ბრალდებულს მეშადი მამედს იცნობდით თუ არა?

— არა. ციხეში რომ ვიჯექი, ბოქაულმა ნაზირბეგოვმა მითხრა, „მეშადის ოთახში გადაგიყვან და რამეს შეიტყობ, თუ ვერაფერი შეიტყე, მე გასწავლი, რაც უნდა უთხრა გამომძიებელს. მანაფა არსად შემხვედრია, გამიგონია-კი მისი სახელი. კრასილნიკოვის ქარხანაში რომ ვმსახურობდი, მანაფას ძმამ, რომელიც უფროსად იყო, 200 მანათით დამაჯარიმა რაღაც ნივთების დაკარგვისათვის. ჩემი ნათესავი მანაფის ძმამ მოჰკლა. რაც გამომძიებელს ვუთხარი, ყველაფერი ტყუილია, მიანსაროვის დარიგებით იყო ნათქვამი. ამ ბოქაულმა მითხრა, თუ ასე იტყვი, როგორც მე დაგარიგე, ციხიდგან გამოგიშვებ და პალატაში დაგეხმარებიო.

თავმჯდომარე. ეხლა კი მართალს ამბობთ?

— დიაღ. ამ საქმეზე მე არა ვიცი რა. რაცა ვსთქვი, სულ ბოქაულის დარიგებით იყო. აქ სამის ხელმწიფის სურათია და ტყუილს ვერ ვიტყვი.

ვექ. კარაბჩევსკი. რა ორი სიტყვა უნდა გეთქვათ ბრალმდებლისთვის?

— აი ესა: „ბაკიხანოვმა მითხრა, მე ვიცი, რომ ბოქაულის ნაზირბეგოვის დარიგებით ჩვენება მიეცი გამომძიებელს. მე 200 მანათს მოგცემ, სთქვი, რომ ყველა შენი ნათქვამი ტყუილია“.

კერძო ვექილი ნიკ. არუთინოვი (მოწმეა). 1895 წელს ზაფხულში ერთს დღეს სასამართლოში ვიყავი, მოვიდა სტაროსელსკი დ სთქვა: „მე მანაფთან საქმე მქონდა და წავაგე, რადგანაც ყალბი საბუთები წარმოადგინა. არ ვიცი ეხლა, როგორ მოვიქცე“. მე ვურჩიე: „პირდაპირ განაცხადე, რომ საბუთი ყალბია.“ მეც ეგრე ვფიქრობო,—მიპასუხა სტაროსელსკიმ. და მერე სთქვა: „მანაფი მემტერება, მაგრამ მე ამ საქმეს არ მოვეხსნები, ან მე უნდა მოუღო იმას ბოლო, ან იმან—მე“.

სტაროსელსკი რომ მოჰკლეს, ქერბალაი-ბალლა შემხვდა და მითხრა, ეს მონაფის საქმეაო:—ვინ არის მეთქი ეს მონაფი?—ზაბრათის მამასახლისია, ბალაბეგოვის ნათესავი.—მერე რა იცი რომ იმის საქმეა.—იქიდგან ვიცი, რომ მანაფმა ერთხელ შემომჩივლა, სტაროსელსკი გადამეკიდაო. მე ვუთხარი, 10 ათასი მანათი მიეცი და მოგეხსნება. მანაფამ მიპასუხა, ისა სჯობს 5 ათასი მ. დავხარჯო და მოვაკვლევინოვო.

მრავალ სხვა მოწმეთა გამოკითხვის შემდეგ, რომელთა ჩვენებამ ვერაფერი გამოარკვია გადაწყვეტილი, კიდევ ერთს მოწმეს ჩამოართვეს ჩვენება იბრაიმ ბეგ-აბედინოვს (პოლიციის მოხელეა). ამ მოწმემ სთქვა: ,,მე მითხრეს, ერთს მეეტლეს სამი თუ ოთხი კაცი მიჰყავდა სურახანაში. ერთმა მათგანმა (ჩემი ნაცნობია) უამბო ამხანაგებს, იბრაჰიმ ბეგი (არავინ იცის, ეს იბრაიმ ბეგი ვინ არის) ტფილისში იყო და ვიღაცას უთხრა სტაროსელსკის მოკვლას უპირებენო.

ვექილი კუპერნიკი. მერე ვინ არის ეგ თქვენი ნაცნობი? დაასახელეთ.

— არ შემიძლიან, სიტყვა მიმიცია.

— ეს მითხარით, თქვენ ხომ პოლიციაში მსახურებთ?

— დიაღ.

— თქვენ ხომ ფიცი მიგიციათ, რომ არაფერი არ უნდა დაჰმალოთ. რის გატეხა უფრო ძნელია, ფიცისა თუ პატიოსანის სიტყვისა.

— მე ყველაფერი ვსთქვი, რაც გავიგონე. ჩემის ნაცნობის სახელის შეტყობა არაფრად არის საჭირო. მე სიტყვა მიმიცია და ამიტომ ვერ დავასახელებ.

საქმის გამოძიება გათავდა.

(შემდეგი იქნება)

## დამაკვირდი

(უცნობი)

თუ გინდა იცოდე ვინ რა კაცია, იგი გაჭირებაში გასინჯე.

***

საქმეს წვერი ან ბოლო უპოვნე და მაშინ თვით საქმის ნასკვსაც ადვილად გამოხსნი.

***

სარჩო მუნწასთვის ბატონია და ჭკვიერ ადამიანისათვის-კი მსახური.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

გერმანელებისა და ფრანგების შორის მტრობასა და შურს არ იქმნა ჯერ ბოლო არ მოეღო და ვინ იცის, როდის მოეღება. გერმანელებს ძლიერ უხარიანთ, ჩვენი ერი თანდათან მრავლდება, ფრანგებისა-კი არაო. მართლაც და საფრანგეთის მამულის-შვილნი ძლიერ არიან შეწუხებულნი იმით, რომ ჩვენი ერი შესამჩნევად არა მრავლდებაო და ვინ იცის, რა ღონისძიებას არ იგონებენ, როგორმე გამრავლდეს ხალხი საფრანგეთში. ერთი, ახლად არჩეული დეპუტატი საფრანგეთს ურჩევს, ოსმალელებს მივბაძოთ და თითო კაცმა რამდენიმე ცოლი ვიყოლიოთო. ეს დეპუტატი გარნიე გახლავთ. ტომით ფრანგია, ხოლო სარწმუნოებით-კი მაჰმადიანი. გარნიე დეპუტატთა კრებაზედ ოსმალეთთა ტანთ-საცმელით მობძანდა, თავზედ ჩალმა ეხურა. როგორც ნამდვილს მაჰმადიანს შეჰფერის, ჯერ პარლამენტის შესავალში ალლაჰს მადლი შესწირა, ილოცა და ისე შევიდა დეპუტატთა პალატაში.

გარნიეს განზრახვა აქვს თურმე პარიზში ყორანი გაავრცელოს. სხვათა შორის ეს მაჰმადიანი-ფრანგი ამბობს: „საჭიროა ღონისძიება რამ ვიხმაროთ, რომ ოდესმე გერმანიამ არ დაგვძლიოს, ამიტომ, ჩემის აზრით ძლიერ კარგი იქმნება, რომ თითო კაცმა რამდენიმე ცოლი იყოლიოს. ეს მით უფრო სასურველია, რომ მაშინ გარყვნილება შემცირდება. მართლაც და, რა ურიგო იქმნება, რომ მდიდარმა ყმაწვილმა კაცმა რამდენიმე ახალ-გაზდა ქალი შეინახოს და ამით ცხოვრების სახსარი აღმოუჩინოს“.

—

არ ვიცით, როგორ მოეწონებათ საფრანგეთის ქალებს ეს მოძღვრება გამაჰმადიანებულ დეპუტატისა! რაც შეეხება ამერიკელ ქალებს, უნდა მოგახსენოთ, რომ ისინი ისე არ არიან გაჭირვებულნი, რომ მამაკაცებს შესცქეროდნენ, იმათ გვაცხოვრონო. პირ იქით, ზოგიერთ ქალაქებში თითქმის ყველა დაწესებულება და ვაჭრობაც კი ქალებმა ხელთ იგდეს. მისისიპის შტაბში, მაგალითად, ქალაქ დეკატურში, რომელშიაც 1,500 მცხოვრებია, ქალაქის მმართველობის ყველა თანამდებობა ქალებს უჭერიათ. ქალაქის უფროსი ექიმი ქალია. საუკეთესო რესტორანი ქალებისაა. ვაჭრობაც სულ ქალების ხელშია; ქალები არიან მაღაზიების პატრონებიც და მოვაჭრენიც. ფოსტის დირექტორი ქალია და უფრო დიდი თანამდებობაც ფოსტაში ქალებს უჭერიათ. ერთის სიტყვით, ამერიკელმა ქალებმა ძლიერ გაიმარჯვეს. და რა საკვირველი იქმნება, რომ აქაური ქალი საქმროს თითონ ირჩევდეს და შინ არ იჯდეს ხელებ დაკრებილი, აცა რომელი მამა-კაცი მოეწონება, ცოლად შემირთავს და მაცხოვრებსო.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 მარტი.

**პეტერბურგი.** „დვორიანსკი სობრანიაში“ საზოგადოების ,,ბაგი“-ს სასარგებლოდ გამართული ქ-ნ მ. ი. ლოლინას კონცერტი ძლიერ მოეწონათ. კონცერტს დაესწრნენ უმაღლესნი სახლობანი, გერმანიისა, საფრანგეთისა და იტალიის ელჩნი და მრავალი დიდ-კაცობა. შემოსავალი რვა თუმანზე მეტია.

**პარიზი.** საბერძნეთის კამისიამ გაზეთებში წერილები გაჰგზავნა და ამტკიცებს, რეინიკს მეამბოხეთათვის ადმირალთა დეკლარაცია არ გარდაუცია და ამის გამო გავრცელებული ამბავი ტყუილიაო.

**კელნი.** აქაურს გაზეთს სწერენ კანეიდგან: სელინის კაიმაკონს ჰუსეინს უთქვამს: ,,ჩვენ სიხარულით ვეგებებით იმ ამბავს, რომ კრიტის კუნძული დროებით უნდა დაიჭირონ ევროპის ჯარებმა და იმედი გვაქვს, ამ ჯარების რაოდენობა ისეთი იქმნება, რომ ჩვენი საკუთრება დავიბრუნოთ და შევინარჩუნოთ. კრიტში წესიერება და მშვიდობიანობა მხოლოდ მაშინ დამყარდება, თუ ამ კუნძულს ევროპა რიგიანად ადევნებს თვალ-ყურსაო.

**ლონდონი.** კანეიდგან დეპეშით იუწყებიან: ,,ბრიტანიის ელჩს ებრძანა, სხვა ელჩებთან ერთად შეადგინე დეკლარაცია და განუმარტე კრიტის მცხოვრებთ, როგორი თვით-მმართველობა მიენიჭება კრიტს დიდ სახელმწიფოთა მიერო.

5 მარტი

**ვორონეჟი.** 4 მარტს ექიმთა კრებამ გასინჯა ერთი ავად-მყოფი გლეხი პავლოვსკის მაზრიდგან, კეთროვანებით შეპყრობილი.

**კანეა.** ჯავშნიან გემზედ „სისოი ველიკი“, რომელიც კრიტის ნაპირას სდგას, სუდას ყურეში, ვარჯიშობის დროს თოფის წამალი აფეთქდა. მოკლულ იქმნა უფროს ინჟინერ-მეხანიკის თანაშემწე დერიაგინი და 14 მოსამსახურე გემისა. სამი მსუბუქად დაიჭრა. მძიმედ დაჭრილთა შორის გარდაიცვალა ლეიტენანტი პეჩიუროვი და სამი ზღვაოსანი.

**კანეა.** ჯავშნიან გემზე „სისოი ველიკი“-ზე მომხდარმა უბედურებამ ძლიერ დაალონა აქ მყოფნი ევროპიელნი. რუსეთის ელჩთან მივიდა დეპუტაცია და მოქალაქეთა სახელით გულ-მტკივნეულობა გამოუცხადა.

**ბერლინი.** 4 მარტს, შუადღისას, იმპერატორის თანადასწრებით, გვარდიის დრაგუნთა მეორე რაზმს გადასცეს იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის მიერ ნაბოძები ვერცხლის დაფები.

**ლონდონი.** სოლსბერიმ არ მიიღო დეპუტაცია კრებისაგან, რომელიც მოხდა კვირას ტრაფალგარსკვერში და რომელმაც გაუგზავნა მას თვისი გარდაწყვეტილება კრიტის საქმის შესახებ.

**კანეა.** კანდიიდგან ამბავი მოვიდა, რომ სიტიიში ქრისტიანებს 960 მაჰმადიანი მ..უკლავთ. ამბობენ, ისიც მართალია, რომ დაფნესში 30 სულზედ მეტი ქალი, კაცი და ბავშვი დაუ ოცნიათო. მაჰმადიანები ამტკიცებენ, ქრისტიანებს განზრახვა აქვთ პირობა შეჰკრან და კუნძულზედ მცხოვრები მაჰმადიანები გასწყვიტონო. კანდიის მაჰმადიანები ძლიერ რ ი ნ ამ ამბით განრისხებულნი და უწინდელზედ უფრო მეტად მიჰყვეს ხელი ძარცვას.

**ვენეცია.** საერთაშორისო სასანიტარო ხელშეკრულობა, რომლის შედგენა მიენდო განსაკუთრებულ ჭირის საწინააღმდეგოდ შემდგარ კონფერენციას, 19 მარტს იქნება ხელმოწერილი.

**ვენა.** გალიჩინოში არჩეულ იქმნენ: 13 კონდიდატი პოლონელთა უმთავრეს კომიტეტისა, 4 კანდიდატი რუს გალიციელთა ზომიერ დასისა, 2 კანდიდატი რუს-გალიცელთა უმთავრეს'ის კომიტეტისა, 5 მომხრე სტოიალევსკისა და ორი წევრი პოლონელ საერო დასისა.

**ლონდონი.** გაზეთები იუწყებიან, რომ ზიმფფორტის ჰეიგლანდის რაზმის 1,600 ჯარის კაცს, რომლებიც მალტაში იყვნენ, კრიტში ებრძანათ წასვლა; მალტას ნაპირებთან მყოფი სამხედრო გემები დაუყოვნებლივ წავლენ კრიტის ესკადრის მისაშველებლად.

**კაირო.** ამბობენ მაჰდი ფულის გულისთვის დასთმობს ბერბერს და სამაგიეროდ მშვიდობიანად შეეძლება მართვა-გამგეობა დარფურისა და კორდოფონისა.

ხმა დადის, რომ ინგლისს განზრახვა აქვს ოსმალეთს უთხრას, თუ საბერძნეთთან ომი მოგიხდა, შევიძლიან ეგვიპტეს ჯარი დაიხმაროვო.

პეტერბურგის ბირჟა 4 მარტი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ მანეთიანი ოქრო . . . . . | —,, | — „ | — „ |
| 5%.-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . | — „ | — „ | 212½ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | 101⅜ | — „ | — |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99⅛ | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . | 102 | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 99⅛ | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 98¾ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | — | 279 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — | — | 251 |


# განცხადებანი

ოთხშაბათს, 5 მარტიდგან იწყებს თავისს მოქმედებას

## ალებ-მიცემა შუამავალი,

სადაც მყიდველს შეეძლება შეიძინოს პირიანად საუკეთესო გასტრონომიული და საბაკალეო საქონელი და აგრეთვე ყოველგვარი სასმელები, როგორც ადგილობრივი, აგრეთვე რუსეთისა და საზღვარგარეთისა. მაღაზიაში დაცულ იქმნება მკაცრად ზრდილობა და სისუფთავე.

ადრესი: ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, სახლი თ-დ კ. ი. მუხრან-ბატონისა, № 6/1.

(3—83—2)

ახლად გამოვიდა და იყიდება

## ფაბიოლა

ანუ წინანდელი ქრისტიანები

გამოცემა უდაბურ წმიდის ძმობისა, თარგმანი ა. ნიკიტინისა.

წიგნი 68 გვერდია და ღირს ერთი შაური.

იყიდება ტფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში. ტფილის გარეთ: ოზურგეთში თავად თქილაძესთან, მახაანში დ. ნადირაძესთან, ბორჯომში მ. სალარიძესთან, თელავში ილ. იმერლიშვილთან და სურამში არშაკ შულაროვთან.

## მოეცანილია გასასყიდად

ჰაჯი ისმაილ-ოღლის ბაღიდგან

სოფ. ბელაქანში

## ხეხილები

(1, 2 და 3 წლის ნამყენი)

ისყიდება კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების სადგომში (ბარიატინსკის ქუჩა). (3—6.—3)


Дозволено цензурою, Тифлисъ 5 -го Марта 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.